პირიქითა ხევსურეთის კულტურული ლანდშაფტი
(ბუნებრივი და კულტურული სისტემების ურთიერთკავშირის კვლევა)

შალვა აბრამიშვილი
ელ-ფოსტა: shalva.abramishvili946@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

ანოტაცია

ტექნოკრატიული ეპოქის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ადამიანის დაშორება ბუნებრივ გარემოსთან. ამ გახლეჩილობის აღმოფხვრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ,პირველ რიგში, თავად ადამიანისთვის.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ადამიანის და მისი საარსებო გარემოს ურთიერთდამოკიდებულების გააზრება, მთიანი რეგიონების, კერძოდ პირიქითა ხევსურეთის მაგალითზე.

ნაშრომის ფარგლებში მოხდა პირიქითა ხევსურეთის ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების თავისებურებათა აღწერა, ამ თავისებურებების კვლევითი ანალიზი და სინთეზი, მათი მდგრადი მაგოყენების პერსპექტივის გამოვლენა.